

ლალი გაბისონია¹

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2023.21.33>

**ექვთიმე მთაწმინდელი (ათონელი)
სამართლის მთარგმნელობითი სკოლის დიდოსტატი, მისი
ლიტერატურული და საღვთისმეტყველო მემკვიდრეობა**

აბსტრაქტი. წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ქართული საღვთისმეტყველო, სალიტერატურო და სამართალშემცნებითი, ქართული მთარგმნელობითი სკოლის სწორუპოვარ წარმომადგენელსა და სულის ჩამდგმელს-ექვთიმე მთაწმინდელს. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართული სამართლის მეცნიერებისა და სამართალშემოქმედებითი საქმიანობის წინაშე. ექვთიმესეული ე.წ. კლება-მატების პრინციპი არის უცხოური სამართლის რეცეფციის საუკეთესო სტანდარტი, რაც სასურველია თანამედროვე კანონმდებელმა აქტიურად გაითვალისწინოს უცხოურ კანონებზე მუშაობასა და მათ ქართულ სამართლებრივ სივრცეში შემოღების პროცესში. უცხოურ კანონთა კალკირების ნაცვლად თუ მოხდება მათი მისადაგება ექვთიმესეული კლება-მატების პრინციპით, კი რთული და შრომატევადი გზაა, მაგრამ საუკეთესო შედეგს მივიღებთ და ეს მეთოდი არ გვაქვს შორს საძებარი, ჩვენმა წინაპარმა დაგვიტოვა საუკეთესო ნიმუშები კლება-მატების პრინციპით უცხოური კანონების რეცეფციისა ქართულ სამართლებრივ სივრცეში და ქართული სამართლის ძეგლების თარგმნისა. ნაშრომი არ შემოიფარგლება მხოლოდ ექვთიმესეული რეცეფციის სტანდარტებით, ასევე განვიხილავთ ექვთიმესეული დანაშაულთა კვალიფიკაციის იმ ეპოქისთვის ახლებურ მიგნებებს, ასევე მისი ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ძირითადად ეს არის საღვთისმეტყველო და

¹ **ლალი გაბისონია.** სამართლის დოქტორი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მიმართულების პროფესორი.

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები და უმრავლესი მათგანი შეეხება მართლმადიდებლობის, როგორც სარწმუნოებისა და იდეოლოგიის გზას.

ექვთიმე ათონელი ის ავტორია, რომელსაც მეტი ყურადღება და მეტად გათვალისწინება სჭირდება. თანამედროვე ქართველებს უნდა გვახსოვდეს წარსულის სწორი გაკვეთილები უკეთესი წინსვლისთვის, მეტი ექვთიმესეული გამოცდილების გათვალისწინება მხოლოდ სწორ გზაზე ატარებს ქართულ კანონმდებლობას და შესაბამისად სამართალგანვრცობით და სამართალშეფარდებით პროცესს. ეს მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიოს პირობებში ქართული სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით-ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება საჭიროა არა მხოლოდ ყოფით ცხოვრებასა და კულტურაში, სამართალშემოქმედებაც კულტურის ნაწილია და სწორედ თვითმყოფადი და არა უცხოურ კანონებს ბრმად მიხედვითი სამართალია საჭირო ქართული სახელმწიფოს და ქართული საზოგადოების სწორად განვითარებისთვის. ვთვლი, რომ ამ მნიშვნელოვან საკითხში ექვთიმე მთაწმინდელზე უკეთესი გზამკვლევი - კანონმდებლობის სწორი რეცეფციის პროცესში, უბრალოდ არ არსებობს, და არა მხოლოდ რეცეფციის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ექვთიმე მთაწმინდელი, ათონის მთარგმნელობითი სკოლა, კანონმდებლობის რეცეფცია, კლება-მატების პრინციპი.

Lali Gabisonia²

Sokhumi State University

Ekvtime Mtatsmindeli (of Athos) - Grandmaster of the law translation school, his literary and theological legacy

Abstract. The present work is dedicated to Ekvtime Mtatsmindeli, a righteous representative of the Georgian theological, literary and jurisprudential school. The founder of Georgian translation school. His contribution to the science of Georgian law and law-making activities is invaluable. The so-called six-month The principle of decrease-increase is the best standard for the reception of foreign law, which is desirable for the modern legislator to actively take into account when working on foreign laws and their implementation in the Georgian legal space in the process of introduction. Instead of calculating foreign laws, if they are applied according to the six-month increment principle, it is a difficult and time-consuming way, but we will get the best result, and this method is not far away. Translation of monuments. The work is not limited only to the reception standards of the sixteenth century, we also

² **Lali Gabisonia.** Doctor of Law. Professor of Direction of fundamentals of law and methods at Sokhumi State University.

consider new findings of the qualification of crimes of the sixteenth century for that era, as well as its literary heritage, mainly it is

Theological and hagiographical works and most of them touch on the way of Orthodoxy as faith and ideology. Ekvtime is an author who needs more attention and consideration, modern Georgians should remember the correct lessons of the past for better progress. This is important in the conditions of the modern world, taking into account the challenges facing the Georgian state and society - it is necessary to preserve our national identity not only in our daily life and culture, Law-making is also a part of culture, and it is independent law, not blindly entrusted to foreign laws, that is needed for the proper development of the Georgian state and Georgian society. I believe that in this important matter, there is simply no better guide than Ekvtime Mtatsmindeli - in the process of correct reception of legislation, and not only in the process of reception.

Key words: Ekvtime Mtatsmindeli, Athos translation school, reception of legislation, principle of decrease-increase.

შესავალი. ექვთიმე მთაწმინდელის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეფასებისას კორნელი კეკელიძე ბრძანებს ერთ ფრიად საყურადღებო გარემოებას: „ის უფრო მთარგმნელია, მაგრამ თავისებური:სათარგმნელი მასალის შერჩევისას და თარგმანის პროცესში მას მუდამ მხედველობაში ჰქონდა ინტელექტუალური მოთხოვნილებანი და განვითარების დონე თავისი თანამემამულეებისა, ამიტომ სათარგმნელ დედნებს ის ან უმატებდა, ან აკლებდა რამეს...თავის თარგმანებში ის იძლეოდა ახალ რედაქციას ამა თუ იმ თხზულებისას. ამდენად უცხო ძეგლები მის მიერ,შეიძლება ითქვას გაქართულებულია, როგორც უნდა იყოს, მან, როგორც ბიზანტიელთა შორის კარგად ცნობილმა და დიდად პოპულარულმა მოღვაწემ, ცხადად დაანახა ბერძნებს შემოქმედებითი უნარი ქართველებისა, დონე და დიაპაზონი ქართული კულტურისა, და ის საპატიო ადგილი, რომელიც მის სამშობლოს მოპოვებული ჰქონდა მოწინავე ქრისტიან ერთა შორის (კეკელიძე 1956: 212-213). ეს შეფასება, სავსებით საკმარისია იმ მოტივაციის აღსაწერად, თუ რატომ ვწერ დღეს, საუკუნეების გადასახედიდან ექვთიმე მთაწმინდელზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ექვთიმე მთაწმინდელის წვლილი ბერძნული წიგნების თარგმნაში ქართულად, რაზეც სამართლიანად მიუთითებს ეფრემ მცირეც, რომელსაც თავი ექვთიმეს მოწაფედ მიაჩნია და თავად ექვთიმეს ლიტერატურულ მეფედ, ბუმბერაზად - ლომად მოიხსენიებს: „ექვთიმე მონურად არ მისდევს ბერძნულ ტექსტს. შეაქვს შიგ სხვადასხვა წყაროდან დამატებითი ცნობები, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ქართველებს შეეხება, უშვებს დედანში მთავარ ადგილებს, უმატებს თავის კომენტარებს...ასე რომ, იშვიათი თხზულება უთარგმნია მას ისე, როგორც დედანშია წარმოდგენილი,

უმეტეს შემთხვევაში ის იძლევა ახალ, დამოუკიდებელ, ასე ვთქვათ გამოკრებულ რეცენზიას ამა თუ იმ თხზულებისას...ექვთიმესო, ამბობს ეფრემ მცირე“ მაღლითა სულისა წმიდისაითა ხელეწიფებოდა შემატებაიცა და კლებაცა (კეკელიძე 1956: 192). ექვთიმეს იგი მოიხსენიებს როგორც „ზოგად ჩვენ ყოველთა მამისა და წინამძღურისა ეფთ(ვ)იმესითა“ (ეფრემ მცირე, 2009: 174). ექვთიმე მთაწმინდელის შემოქმედებას კიდევ ერთი განსაკუთრებული მახასიათებელი აქვს. ის არა მხოლოდ თარგმნიდა ბერძნულიდან ქართულად და პირიქით, ბერძნულ ენაზე, ფაქტობრივად მისთვის უცხო-არამშობლიურ ენაზე ორიგინალურ ნაწარმოებებს ქმნიდა: „მას ბერძნულად დაუწერია თავის ბერძენ მოწაფეთათვის სამონაზვნო ცხოვრების წესი“ (კეკელიძე, 1956: 163).

დისკუსია. ექვთიმე მთაწმინდელის ბიოგრაფიაში მოგვეპოვება ცნობები მისი ნაშრომების რაოდენობისა და რაგვარობის შესახებ. მისი ბიოგრაფია გიორგი მთაწმინდელის მიერ არის შექმნილი. გიორგი მართალია, ჩამოთვლის მის ნაშრომებს, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ მათი სრული ნუსხის გადმოცემა მოუკლებლად შეუძლებელია. ამდენად, გიორგი მთაწმინდელის მიერ ექვთიმეს ბიოგრაფიაში გადმოცემული ცნობები მისი ნაშრომებისა და თარგმანების რაოდენობის შესახებ, სრული არ არის, მეტიც, დღემდე მიდის დაზუსტება ექვთიმეს ფასდაუდებელი ნაშრომებისა და თარგმანების. დარეჯან თვალთვადის აზრით, „ზემოთქმულის გათვალისწინებით Ath.39-ში დაცული პავლეს ჰრომაელთა მიმართ I ეპისტოლის მთარგმნელად ჩვენ ექვთიმე ათონელს (მთაწმინდელი ლ.გ.) მივიჩნევთ. უმთავრესი არგუმენტი ჩვენთვის მაინც ამ მხრივ მეტად სანდო მეცნიერისა და მთარგმნელის ეფრემ მცირის ცნობაა. ამრიგად, ეფრემ მცირის ანდერძის ცნობაზე დაყრდნობით ექვთიმე ათონელის ნათარგმნი ძეგლების სიას უნდა დაემატოს კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლე „სხვისა ვისმე ეპისკოპოსისა მიმართ“ (Ath.39 16v-17v) და მისივე შედგენილი კატენური კრებულის „პავლე თარგმანიანის“ დასაწყისი: „თარგმანება ჰრომაელთა მიმართ ეპისტოლისაჲ“ (სრულად) და „თარგმანებაჲ კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლისა (8,2 მუხლამდე) (Ath.39, 18v-101v)“ (თვალთვაძე, 2009: 97-98).

უაღრესად სინტერესო გზა განვლო ათონელ წმინდა მამათა მთარგმნელობითმა და ზოგადად ლიტერატურულ - შემოქმედებითმა პროცესმა, დაუღალავად შრომობენ, აზუსტებენ, ადარებენ, ერთი სიტყვით მაღალი აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტს აჩვენებენ ყოველ ნაბიჯზე, რაც იმ პერიოდის ქართველთა მაღალი ინტელექტუალური კულტურის მაჩვენებელია და ამ კუთხითაც უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ეროვნული შეგნება ამ ხანის ქართველებისა მჟღავნდება თარგმანის პროცესსა და ხასიათშია. ძველად ნათარგმნ თხზულებებში ქართველებს შეაქვთ საჭირო შეს-

წორებანი, თარგმნიან ახალს, მაგრამ არა მონურად, სიტყვასუტყვით, არამედ თავისუფლად და თავისებურად. ახალ მასალას ისინი უფარდებენ თავისი ეკლესიის შეხედულებებსა და ტრადიციებს ან ავრცობენ მას ისეთი მასალით, რომელიც მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული ძველი დროიდან, ან ამოაკლებენ და სცვლიან ადგილ-ადგილ. ამ გზით ზოგიერთ შემთხვევაში ქართველი მთარგმნელები იძლეოდნენ არა წმინდა თარგმანს, რომელიმე თხზულებისას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არამედ ახალ რეცენზიას ან რედაქციას ამ თხზულებისას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეთერთმეტესა და შემდეგ საუკუნეებში ამ პერიოდში თავისუფლად ნათარგმნ თხზულებებს, საღმრთო წერილის ტექსტი იქნებოდა თუ სხვა რამ, უკვე ქართულს ეძახოდნენ, ალბათ იმიტომ, რომ ისინი თანამედროვე ბერძნულს უკვე აღარ უდგებოდნენ. მაგალითად გიორგი მთაწმინდელი მის მიერ ნათარგმნ დავითნს უპირდაპირებს ქართველთა დავითთა, ექვთიმე მთაწმინდელსო, შენიშნავს ის, „ქართულნი დავითნი თანაესხნანო“. ანდა ამ პერიოდში ნათარგმნი იერუსალიმის კანონი ან განჩინება მეთერთმეტე საუკუნეში უკვე ქართულ კანონად იყო მიჩნეული (კეკელიძე, 1980: 56).

ბიზანტიური ვერსიები ერთგვარ ეტალონად იყო მიჩნეული და ყოველი არაქართული თარგმანის დადარება და დაზუსტება სწორედ ბერძნულ (ბიზანტიურ) ტექსტთან ხდებოდა „ეპოქის მთარგმნელობითი საქმიანობის ლოზუნგად იყო მიჩნეული : ბერძნული ტექსტი დედაა, ქართული თარგმანი, უშუალო ბერძნულიდან გადმოღებული, შვილია ბერძნულისა, ხოლო სხვა ენის საშუალებით -შვილიშვილი. შვილიშვილს კი ღვიძლი შვილი სჯობიაო“ (კეკელიძე, 1980: 60). განსაკუთრებული უნდობლობით ეკიდებოდნენ თარგმანის სომხურ ვერსიებს, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. განსაკუთრებით საყურადღებოა გიორგი ხუცეს-მონაზვნის შეხედულება ამ საკითხზე, რომელიც გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი იყო: „ ჩვენ იმთავითვე წმინდა და უზადო წიგნები გვქონდა, მაგრამ მერე სომხებმა გაგვირყვნეს ისინი“ (კეკელიძე, 1980: 60). ახლა მთავარ მიზნად ქართული თარგმანების ბერძნულ დედებთან დადარება იყო, ამ საქმეს ექვთიმე ათონელი ჩაუდგა სათავეში. ათონის სკოლის მამამთავრად სამართლიანად ითვლება ექვთიმე მთაწმინდელი. „მამამთავარი ამ სკოლისა, ექვთიმე მთაწმინდელი, წინა ეპოქის მთარგმნელთა სკოლას ეკუთვნის, თავის თარგმანებში ის ნახევრად მთარგმნელია და ნახევრად ორიგინალური მწერალი“ (კეკელიძე 1980: 61).

პოლიტიკურად გაერთიანებულ საქართველოში იგრძნობოდა ქართველი ერის სიძლიერე, რამაც ეროვნული თვითშეგნება და ერთგვარი თავმოძვრობაც გააძლიერა. ე.წ. პირველი პერიოდის ანუ ადრეფეოდალიზმის ხანის მეორე ნახევარში ადგილი ჰქონდა ეროვნული გათვითნობიერების პროცესს, ამიტომ ამ პერიოდს ქართულ მწერლობაში *ეროვნული ხანა* ეწოდა, სწორედ

ამ პერიოდში „ქართველები დადგნენ კულტურულ-ლიტერატურული დამოუკიდებლობისა და სეპარაციის გზაზე, მეორე პერიოდში კი საქმემ სხვა მიმართულება მიიღო“ (კეკელიძე, 1980: 62).

ქართველებსა და ბერძნებს შორის ერთგვარი მეტოქეობა დაიწყო. როცა ბერძნებმა დაინახეს, რომ უძველესი კულტურის მქონე ერთან ჰქონდათ საქმე, რომელმაც მარტივად გაართვა თავი არა მხოლოდ მთარგმნელობით საქმეს, ამოიცნეს რა თავისი ტოლი და თანასწორი ცივილიზაციურად, ერთგვარი მეტოქეობის და შურის მომენტები გამწვავდა, შურითა და გესლით აღგზნებული ბერძნები არავითარ საშუალებასა და ხრიკებს არ ერიდებიან, რომ ქართველები აღნიშნული ცენტრებიდან გამოაძევონ. მათ ისინი მედიდურად დაჰყურებენ ზევდან, როგორც ბარბაროსებს...ეროვნულ-სარწმუნოებრივი თავმოყვარეობისა და სახელის დასაცავად ქართველებს უნდა დაერწმუნებინათ ბერძნები და სხვებიც, რომ ისინი თუ განსხვავდებიან ბერძნებისაგან, მხოლოდ ეროვნებით, კულტურისა და სარწმუნოების მხრით კი არც ბარბაროსები არიან და არც, მით უმეტეს, მწვალელები: მათ როგორც ქრისტიანებს, იგივე რჯული უპყრიათ, იგივე საეკლესიო წესები, იგივე საღმრთო წერილი და საეკლესიო ლიტერატურა აქვთ, რითაც ასე ამაყოფნენ ბერძნები (კეკელიძე, 1980:62).

ათონის ივერთა მონასტერი აშენდა 980-983 წლებში, ძმების იოანესა და თორნიკეს მიერ ანუ ექვთიმე მთაწმინდელის მამისა და ბიძის მიერ. ცნობილი ისტორიული პიროვნება და სახელოვანი მხედართმთავარი თორნიკე ერისთავი, რომელმაც 979 წელს ბერად შედგომამდე ცოტა ხნით ადრე, ქართული სამხედრო კორპუსით სასტიკად დაამარცხა ბიზანტიელი უზურპატორი ბარდა სკლიაროსი და ამით ბერძენთა იმპერია განსაცდელისგან იხსნა. ამ დროს მან ხელთ იგდო დიდი ალაფი. ერთი ნაწილი ამ სიმდიდრისა ათონზე მობრუნების შემდეგ მან შესწირა ბერძენთა სხვადასხვა მონასტერს ათონზე, ხოლო ნაწილი მისცა იოანეს (ექვთიმეს მამას, თავის ძმას) და აქვე: „ათონზე ააშენეს ქართველებისათვის საგანგებო „ივერთა „მონასტერი“, რომლისა ჰაეროვნებაი და შუენიერებაი უადრეს ქებისა აღმატებულ“ იყო: ათონის მთაზე „დაღაცათუ ფრიადნი იყვნეს მონასტერნი, გარნა მსგავსი მისი არა იპოებოდა, და არა მხოლო მთასა, არამედ სხუათაცა მრავალთა ადგილთა“ (კეკელიძე, 1955:69) და მიუხედავად ამ დიდი დამსახურებებისა, ქართველთა განდევნის სურვილი მაინც გაუჩნდათ, რადგან ველარ აიტანეს ინტელექტითა და კულტურის დონით თანასწორი ერი. ქართველები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ბერძნულ იდეურ-პოლიტიკურ აგრესიას, ამის დასტურად გიორგი მთაწმინდელის პაექრობაც საკმარისია ქართული მართლმადიდებლობისა და ავტოკეფალიის საკითხზე, რაც მაშინდელ ბიზანტიაში ქართველთა თვითრჩეულობად და ქედფიცხელობად მოინათლა, მაგრამ ანტიოქიის

პატრიარქთან პაექრობაში გიორგი მთაწმინდელმა სამუდამოდ დაუსვა წერტილი ამ გაუგებრობას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართულ-ბიზანტიურ მწერლობაში ქართულ მწერლობას თავისი კუთვნილი სერიოზული წვლილი აქვს შეტანილი, საკუთრივ,

1. ქართულ ენაზე შენახულა ისეთი თხზულებები ბიზანტიური მწერლობისა, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია, მათი აღდგენა მხოლოდ ქართული თარგმანითაა შესაძლებელი.
2. ქართულ მწერლობაში შემონახულა ისეთი ცნობები ზოგიერთ ბიზანტიელ მწერალთა შესახებ, რომელნიც ავსებენ და ახალ ასპექტში აშუქებენ ამ მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას.
3. ქართულ მწერლობას შემოუნახავს ცნობები ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში სრულიად უცნობი მწერლების შესახებ.....
4. ქართველებს ბერძნულ ენაზე უწერიათ ორიგინალური თხზულებებიც, მაგალითად, ექვთიმე ათონელს დაუწერია ბერძნულად „წესი მართოდმოყვის ცხოვრებისაი“. (კეკელიძე, 1980: 63)

როგორც ვხედავთ, ბიზანტიურ-ქართული კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთობის პერიპეტიების განხილვამაც ექვთიმე მთაწმინდელს ვერა და ვერ ავცდით, იმდენად დიდია მისი როლი და მნიშვნელობა ამ კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობებში.

ექვთიმე მთაწმინდელი 955 წელს დაბადებულია სამცხის დიდებული მთავრის იოანე ვარაზვაჩე ჩორდვანელის ოჯახში, იგი ლეგენდარული მხედართმთავრის, თორნიკე ერისთავის ძმისწულია. ექვთიმეს საერო სახელი ჩვენთვის დღემდე უცნობია, თითქოს უფალს უნდოდა, მხოლოდ სასულიერო სახელით ევფთვიმეთი შემორჩენოდა მისი ვინაობა მემკვიდრეობას. იმ ხანებში ბიზანტიის იმპერატორმა მეფე დავით კურაპალატს აზნაურისშვილები მოსთხოვა მძევლად, რომელთა შორის აღმოჩნდა პატარა ექვთიმეც. სამცხის დიდებული მთავარი - ექვთიმეს მამა, უკვე ბერად იყო აღკვეცილი და ოლიმპოს მთაზე იმყოფებოდა, მას საერო სახელი შეუცვალეს და იოანე დაარქვეს. გაიგო თუ არა შვილის მძევლობის ამბავი, მაშინვე თხოვნით მიმართა ბიზანტიის იმპერატორს და შვილი დაიბრუნა, „მძევალთა შორის მოხვედრილა იოანეს მცირეწლოვანი შვილი ექვთიმე, რომელიც იოანეს სიმამრსა და ცოლისძმებს კონსტანტინოპოლს წაუყვანიათ. ამ დროს იოანე ოლიმპოს მთაზე იყო. როდესაც ეს მან გაიგო, წავიდა კონსტანტინოპოლს, პირადად ინახულა სიმამრი და ცოლისძმები, რომელთა დიდი საყვადური უთხრა ასეთი გულქვაობისა და „ობლისადმი“ უყურადღებობისათვის და იმპერატორის ნებართვით, შვილი უკან დაიბრუნა და ოლიმპის მთაზე მოიყვანა“ (კეკელიძე, 1980:-184). 956 წელს მამა-შვილი იოანე და ექვთიმე ათონის მთაზე გადავიდნენ და

ათანასეს ლავრაში დაფუძნდნენ. იოანეს და ექთიმეს თან რამდენიმე მოწაფეც გაჰყვა. მცირეწლოვნობის ასაკიდან უცხოობაში გაზრდილ ბავშვს ბუნებრივია, ქართული ენა სრულყოფილად არ ეცოდინებოდა, როგორც გადმოგვცემს ისტორია, ის ქართულში უცხოურ სიტყვებსაც ხშირად ურევდა, ლოგიკურია, რომ თავიდან ექვთიმემ წესიერად არც იცოდა ქართულად მეტყველება, როგორც აღვნიშნე, არც ექვთიმეს საერო სახელია ჩვენთვის ცნობილი, თითქოს უფალმა ინება, რომ ერშიც დარჩეს საოცარი სახელი ევფთვიმე-სულის ამოფშვინვასავით ჟღერადი საოცარი საეკლესიო სახელი. მამამისი ძალიან განიცდიდა, რომ ექვთიმე ქართულად წესიერად ვერ მეტყველებდა. ღვთისმშობლის ერთ-ერთ სასწაულს მიაწერენ ექვთიმეს უზადო ქართულით ამეტყველებასა და წერა-კითხვის უზადო უნარს: “ბიოგრაფის სიტყვით, თითქოს ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედებითი გამოცხადება ექვთიმეს ავადმყოფობისას, რომ აეხსნა მისთვის ენა, ქართულად მეტყველი, და მართლაც, მიერიდან, გვამცნობს იოანე, სიტყვა ქართული დაუყენებლად, ვითარცა წყაროი, აღმოდინ პირისაგან მისისა უწმიდეს ყოველთა ქართველთასაო” (კეკელიძე, 1980: 184).

ექვთიმეს მამის სურვილი იყო, მის შვილს ქართველი ერის წიგნიერებაში შეეტანა კუთვნილი წვლილი.. საოცარი მამაშვილობა ჰქონდათ, ექვთიმე ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა მამის სურვილებს, მისი მთარგმნელობითი შედეგების უმრავლესობა, სწორედ მამის სიცოცხლეშია შექმნილი. დაბადების წუთიდან მამაა მისი ქომაგი და გზაზე დამყენებელიც, მძევლობიდან მცირეწლოვანი, სწორედ მამამ გამოიხსნა და შემდეგაც შვილის სწორ გზაზე დადგომაში ლომის წილი სწორედ ექვთიმეს მამისაა. „ღვთისმშობლის ნება აბრუნებს ყრმა ექვთიმეს მშობლიური ენის წიაღში, ვინაიდან სწორედ ამ ფენომენის ძალასა და მადლს ხელეწიფება, ყველაზე უკეთ გაუძღვეს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ზეცისაკენ“ (ფარულავა, 2011:123). მოგვიანებით ექვთიმე ივერთა მონასტრის წინამძღვრად ეკურთხა, წინამძღვრის საქმე ბევრ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა, რამაც ხელი შეუშალა ექვთიმეს ნაყოფიერ ლიტერატურულ თუ მეცნიერულ მუშაობას, ამიტომ იგი ტოვებს წინამძღვრის თანამდებობას და მთელ ძალისხმევას და უშრეტ ენერგიას მიმართავს მთარგმნელობითი საქმისკენ, ლიტერატურისკენ, მეცნიერებისკენ. ლიტერატურული მოღვაწეობა ექვთიმემ 975-977 წლებში დაიწყო. მას გულით უყვარდა საყვარელი საქმე, რასაც ახმარდა ძირითად დროსა და ენერგიას. დაამთავრებდა თუ არა ახალ თარგმანს, მაშინათვე სრულ ანგარიშს გზავნიდა საქართველოში მეფე დავით კურაპალატთან. ივერთა მონასტრის წინამძღვრობას მამის გარდაცვალების შემდეგ შეუდგა 1005 წელს „მას კისერზე დააწვა ზრუნვა არამცთუ ქართველთა ივერიის, არამედ ბერძენთა მონასტრებისაც. უიმისოდ მთაწმინდის არც ერთი საქმე არ კეთდებოდა

(კეკელიძე, 1980: 186) და მიუხედავად ამოდენა შრომისა, ღამეებს ათევდა და მთარგმნელობით საქმეს არასგზით არ ეშვებოდა, თუმცა ინტელექტუალური შრომის ინტენსივობაზე მაინც მოახდინა გავლენა წინამძღვრობის ტვირთმა, ამიტომ, 14 წლის შემდეგ ექვთიმემ უარი თქვა წინამძღვრის სტატუსზე და „თვისსა სენაკსა დაჯდა და წიგნთა საღმრთოთა თარგმანებას შეუდგა (1019 წელს)“ (კეკელიძე, 1980: 186). 1028 წლის 13 მაისს გარდაიცვალა, როგორც წყაროები იუწყებიან-დაიტირა ყველამ, ვინც კი იცნობდა მას. დიდია ექვთიმე მთაწმინდელის წვლილი საქართველოში ბიზანტიური კულტურის გაცნობისა და შესისხლხორცების საქმეში. ექვთიმე მთაწმინდელის კალამმა შეკმატა ქართულ მწერლობას ბიზანტიური თხზულებების ქართული ვერსიები, უნიკალური თარგმანები, იგივე ითქმის ჰაგიოგრაფიაზე, ბიბლიოლოგიაზე, აპოკრიფულ მწერლობაზე, ეგზეგეტიკაზე, დოგმატიკასა და პოლემიკაზე, ასკეტიკასა და მისტიკაზე, ჰომილეტიკაზე, ლიტურგიკაზე, საეკლესიო (კანონიკურ) სამართალზე. ექვთიმე მთაწმინდელი ბავშვობიდანვე ფლობდა ბერძნულ ენას, იგი სრულყოფილად თარგმნიდა ქართულ ნაწარმოებს ბერძნულად და ბერძნულს ქართულად. დღესაც ახალი აღთქმის საუკეთესო ქართულ ვერსიას ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ნათარგმნს უწოდებენ.

სასულიერო მწერლობის უკლებლივ ყველა დარგში ძვეს მისი თვალში-საცემი წვლილი. ძველი აღთქმის და ახალი აღთქმის წიგნების დიდი ნაწილი სწორედ ექვთიმეს ნათარგმნია, კერძოდ სახარება - ოთხთავი, აპოკალიფსი - გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა. ექვთიმე მთაწმინდელის კალამს ეკუთვნის ქართულიდან ბერძნული თარგმანი ბალავარიანისა. ბალავარიანი არის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც არის „ბუდას ცხოვრების საქრისტიანო მოთხრობად გადმოკეთება“ (კეკელიძე, 1956: 187). ბალავარიანი შეიცავს ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავს. მეუდაბნოე ბალავარმა მოაქცია ინდოეთის მეფის შვილი იოდასაფი, იოდასაფმა თავისი მამა, რომელიც ადრე თავად იყო ქრისტიანობის მღვწელი, ასევე მოაქცია ქრისტეს სჯულზე როგორც თავისი, ისე მამის ქვეშევრდომებიც. იოდასაფის ხსენება აღმოსავლეთის ეკლესიაში 19 ნოემბერსაა დადგენილი. ერთი სიტყვით, ეს არის სასულიერო რომანი, საკმაოდ საინტერესო შინაარსით და მაშინდელ მსოფლიოში თარგმნილი ყოფილა თითქმის ყველა საქრისტიანო ენაზე, მათ შორის ქართულადაც. სწორედ ამ ქართული ვერსიის ბერძნული თარგმანი ეკუთვნის ექვთიმე მთაწმინდელს. ექვთიმე ბერძნულადაც წერდა ნაშრომებს, მას ბერძნულად აქვს დაწერილი თავის ბერძენ მოწაფეთათვის სამონაზვნო ცხოვრების წესი. ყველა ნიჭიერ და გამოჩენილ ადამიანს ჰყავს მტერი, ამ შემთხვევაში დავარქვათ ლიტერატურული მტრები „რომელთაც მისი შრომების გარყვნა და დამახინჯება განუზრახავთ“ (კეკელიძე, 1956: 192). ვინმე ოზანს მიზანმიმართულად გაუფუჭებია სახარების თარგმანი,

იოანე ოქროპირისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი, რაც ექვთიმეს მიერ იყო გადმოთარგმნილი, აგრეთვე დავითნი მისი. გიორგი მთაწმინდელი აღნიშნავს „წმიდამან მამამან დავითნი თარგმნა და მწერალსა ვისმე მისცა დაწერად და მან განრყუნა და უხმარყო და მიერიტგან სხუაი არღარაი სთარგმნა, არამედ ქართულნი დავითნი თანა ესხნიან და სადაცა სიტყუაი ეხმარებოდის, მუნით იწამის... ეს არის ანდერძი წმ. გიორგისა (მთაწმინდელისა) და მასში ფრიად საყურადღებოა მისი სიტყვები: ა) ვინც ჩემს ნათარგმნს დავითს არ დასჯერდეს, ქართულთა დავითსა დაიწერდესო. ბ) წმ. ეფთვიმეს თარგმნილი დავითი რომ გაირყვნა, სხვა აღარ თარგმანა, ქართულნი დავითნი თანა ესხნიან და მუნით იწამოს“ (ჯანაშვილი, 1900:110-111).

კანონიკური სამართლის დარგში ექვთიმე მთაწმინდელის ღვაწლი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ექვთიმე მთაწმინდელმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინა თავისი ეპოქის ქართული სამართლის და სამართლებრივი აზროვნების განვითარებაზე. ექვთიმე მთაწმინდელმა ბერძნულიდან თარგმნა კანონიკური სამართლის შემდეგი ძეგლები - IV მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები და მცირე სჯულის კანონი. მან ამ თარგმანებს დაურთო ვრცელი კომენტარები, ერთგვარად გადააკეთა კიდევ აღნიშნული სამართლის ძეგლები მათი დახვეწისა და ქართულ სინამდვილესთან უკეთ მისადაგების მიზნით. დიდი ინტერესითა და მაღალი პროფესიონალიზმით უკიდება ექვთიმე მთაწმინდელი მეცნიერების ისეთ ფუნდამენტურ დარგს, როგორიცაა ფილოსოფია, მან თარგმნა იოანე დამასკელის ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომები, ისეთი, როგორიცაა „სარწმუნოებისათვის“ რაც იოანე დამასკელის „გარდმოცემის“ შემოკლებულ ვერსიადაა ცნობილი. ექვთიმე მთაწმინდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერის მისია თავს იღო გიორგი მთაწმინდელმა, რომელიც მის ფაქტიურ ბიოგრაფად გვევლინება, თუმც, როგორც უკვე აღინიშნა, მისი ნაშრომების ზუსტი ნუსხის გაკეთება საკმაოდ რთული საქმე აღმოჩნდა, იმდენად დიდია ექვთიმე მთაწმინდელის ღვაწლი და როლი, „გიორგი მთაწმინდელმა პირველმა შეადგინა ეფთვიმეს თარგმანების რეესტრი და თავის თხზულებაში ჩართო მათი სახელდებითი სია. იგი 60-ზე მეტ დასახელებას მოიცავს და არა მარტო რაოდენობით, არამედ თხზულებათა მოცულობით და თარგმანთა ხარისხით გაოცებას და აღფრთოვანებას იწვევს (სილოგავა, 2011: 100).

ექვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობითი მანერა ყველასგან განსხვავებულია, ეს ფაქტობრივად არც არის თარგმნა, ეს ახლის შექმნაა, ეს არის უკეთესის, უფრო სრულყოფილის, ახსნილისა და განმარტებულის შექმნა კონკრეტული უცხოენოვანი თხზულებიდან თუ სამართლის ძეგლიდან. ის არასოდეს თარგმნის სიტყვასიტყვით. ყველა სიტყვას და ფრაზას ჯერ აანალიზებს,

მერე გადმოცემს ან განვრცობილად ან შემოკლებულად, თარგმნისას ამდიდრება ცნობებს სხვა წყაროებიდანაც და კომენტარებსაც ურთავდა. ივ. ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის შეფასებით, ექვთიმე თავის თარგმანებში ახდენს ვრცელ ეტიმოლოგიურ ძიებებს, რომელთა ნაწილს თვითონ აკეთებს, ნაწილს კი სხვა წყაროებიდან იღებს. ექვთიმესეული ენა იურისტებისთვის შესაშურად ლაკონურია, ფორმალურად განსაზღვრულიც არის და უბრალოც, მარტივია და აღსაქმელად იოლია. მართებულად აღნიშნავს ედიშერ ჭელიძე სტატიის „ქართველ ათონელთა ღვაწლი“ ექვთიმესეული კლება-მატების შესახებ: „ჩვეულებრივ არავის ხელეწიფება და არც აქვს უფლება, წმინდანის შრომას რამ ჩაურთოს ან გამოაკლოს. იმავე ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელის, იოანე დამასკელის, სხვათა შრომების თარგმნისას მთარგმნელი მოვალეა, ზედმიწევნითი სიზუსტით დაიცვას ამ უდიდეს ღვთისმეტყველთა ტექსტი, ორიგინალი. მაგრამ ექვთიმე მთაწმინდელი თავისი აღმატებული სულიერი ხედვით, სადაც საჭიროდ მიიჩნევდა, მოცემულ დედანს ავსებდა და სხვა შრომის, სხვა ავტორის სწავლებითაც, ისევე როგორც მეორე მხრივ, საჭიროებისამებრ, მიმართავდა ტექსტობრივი კლების მეთოდსაც. სწორედ ეს მდგომარეობაა დამადასტურებელი იმისა, რომ მას ღმრთივსულიერად ხელეწიფებოდა ის, რაც სხვას არათუ არ ხელეწიფებოდა, დანაშაულადაც ჩაეთვლებოდა და დაისჯებოდა კიდევ სრულიად სამართლიანად. მისთვის ეს იყო ბუნებითი მდგომარეობა, განსაკუთრებული ღვთივგანბრძნობილობის გამო (ჭელიძე, 2011: 19-20).

ივ. ჯავახიშვილმა თავის ნაშრომში ძველი ქართული სამართლის ძეგლების შესახებ, ექვთიმე მთაწმინდელის ნაშრომებსა და მის მთარგმნელობით შემოქმედებით-განმარტებით საქმიანობას ამ სფეროში. ექვთიმე მთაწმინდელმა გადმოაქართულა მრავალი უცხოურენოვანი კანონიკური სამართლის წყარო და დაურთო საკუთარი ვრცელი კომენტარები, რაშიც ვლინდება მისი ღრმა ისტორიულ-ლინგვისტურ-იურიდიული ერუდიცია. თვითონვე მიუთითებს ექვთიმე, რომ ყოველივე ეს შრომა იმისთვის გასწია, რათა ქართველებს წაეკითხათ და გაეცნობიერებინათ, უკეთ აღექვათ უცხოურ ლიტერატურაში ფიქსირებული ცნობები. როგორც მიუთითებს ივანე ჯავახიშვილი, ცხადი ხდება, რომ „წესი და განგება და სჯულისკანონი მეექუსისა კრებისა“ უბრალო და უშუალო თარგმანი კი არ უნდა იყოს, არამედ ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ გადაკეთებული და განმარტებებით შემკული რედაქცია. „მას ნათქვამი აქვს რომ ძეგლები „სასწავლელად“ გადმოაქართულა, რომ იკითხვიდნენ წინამძღუარნი ეკლესიათანი (ჯავახიშვილი, 1982: 48)

ამის დასტურად ის ფაქტიც გამოდგება, რომ ექვთიმეს თარგმანისა და ტექსტის ორიგინალის შედარების შემდეგ გაირკვა, რომ : „IV მსოფლიო კრე-

ბის ძეგლისწერის ბერძნულ ტექსტთან შედარებით ქართული ტექსტი სიდიდით სულ ცოტა ერთიორად სჭარბობს. ამგვარად ცხადი ხდება, რომ ქართული ტექსტი შეუძლებელია ბერძნული ცნობილი ტექსტის პირდაპირ თარგმანად ჩაითვალოს“ (ჯავახიშვილი, 1982: 46). საქმე იმაშია, რომ პარაგრაფებად დალაგებული ბერძნული ტექსტი ექვთიმესეულს არ ემთხვევა, მიზეზი კი ის არის, რომ ექვთიმეს უცდია მეექვსე კრების დადგენილების შინაარსის მიხედვით თანმიმდევრული დალაგება (კოდიფიკაცია), მაგრამ როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს „კანონთა აღრიცხვაში ბოლომდის და სისტემურად ვერ გაუტარებია. საზოგადოდ, ბერძნულ-ქართულ-სლავურ ტექსტებს ეტყობათ კანონების შინაარსისდა მიხედვით დალაგების კვალი (ჯავახიშვილი, 1982:47).

ექვთიმე მთაწმინდელის მიერ არის ნათარგმნი კიდევ ერთი კანონიკური სამართლის ძეგლი „კანონნი შეცოდებულთანი“, რომელიც ასევე ითვლება მსოფლიო ეკლესიის საკანონმდებლო ძეგლად. ექვთიმე მთაწმინდელის შრომათა სიაში გიორგი მთაწმინდელის ცნობითაც ფიქსირდება აღნიშნული ძეგლი, მაგრამ სათაური შეცვლილი აქვს და დედნისგან განსხვავებით მიუთითებს „რჩულის კანონი წმიდისა იოანე მმარხველისა“. იგი პირველად გამოუცია ალექსანდრე ხახანაშვილს 1902 წელს, აღნიშნული ტექსტი ორი ნაწილისგან შედგება:

1. კანონნი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა, მამისა ჩვენისა იოვანეს მიერ-კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა მმარხველ ეწოდებოდა.
2. კანონნი შეცოდებულთანი განწესებულნი ნეტარისა, მამისა ჩვენისა იოვანე მმარხველისა მიერ კონსტანტინეპოლელ პატრიარქისა.

პროფესორ ზაოზერსკის აზრით (ალ. ხახანაშვილმა პროფ ნ. ზაოზერსკისთან ერთად გამოსცა ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანი 1902 წელს), ექვთიმე მთაწმინდელისეული თარგმანი იოანე მონაზონის კანონარისა და კონსტანტინეპოლელი პატრიარქის იოანე მმარხველის შეცოდებულთა კანონების უძველეს რედაქციად უნდა ჩაითვალოს. თარგმანის ბოლოსიტყვაობაში სულმნათი ექვთიმე წერს: „ღირს ვიქმენ მე გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მოწესეთა ეფთვიმე თარგმანებად ბერძნულისა ქართულად მცირესა ამას რჩულის კანონსა წმიდისა მის მეექუსისა კრებისა მიერ აღწერილსა და ყოველად ნეტარისა იოვანეს მმარხველისა მიერ კონსტანტინეპოლელისა მთავარეპისკოპოსისა განწესებულსა (გაბისონია, 2012: 50).

კანონი შეცოდებულთანი მოიცავს ზნეობრივი და სქესობრივი ცხოვრების ცოდვების აღნუსხვას, სადაც ამ დანაშაულთა ბუნებასა და თავისებურებათა ანალიზს ყურადღება არ ექცეოდა. სწორედ ამიტომ ექვთიმეს თარგმანი შინა-

არსით და მოცულობით განსხვავდება ორიგინალისაგან. ექვთიმესეულ თარგმანში მოცემული ანალიზი არ გვხვდება ბერძნულ ორიგინალში: „ეფთვიმე მთაწმინდელს უბრალო მთარგმნელობის მაგიერ ერთგვარი შემოქმედება უმჯობინებია“ (ჯავახიშვილი, 1982: 50). დანაშაულთა მშრალ ჩამონათვალს ექვთიმე მთაწმინდელმა დაურთო ვრცელი კომენტარი, ფაქტიურად ჩაატარა ღრმა მეცნიერულ-განმარტებითი საქმიანობა სისხლის სამართალში. ჩვენთვის-იურისტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ექვთიმე მთაწმინდელის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ბრალის შესახებ, რაც მცირე სჯულის კანონის კომენტარებში აქვს დართული. ექვთიმესეული კვალი-ფიკაციისა და ბრალის შესახებ ჩემი მსჯელობა გამოვაქვეყნე 2012 წლის ნაშრომში“ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებები“ (გაბისონია, 2012: 8-18). მხოლოდ ერთს დავამატებთ: ექვთიმე მთაწმინდელის მოძღვრების მიხედვით სასჯელი უნდა იყოს ბრალის შესაბამისი. მის მიერ განხილული არაერთი მაგალითიდან გამომდინარე, ექვთიმესეული ბრალის ფორმებია:

1. განზრახი;
2. განზრახვასთან გათანაბრებული ან მიახლოვებული;
3. განზრახვის გარეშე ანუ არა თვისითა ნებითა, მაგრამ დასჯადი ანუ გაუფრთხილებელი ბრალი;
4. შემთხვევითი, ე.წ. უბედური შემთხვევა, რაც არ შეიძლება იყოს დასჯადი.

ექვთიმე მთაწმინდელი თავის ვრცელ კომენტარებში დაწვრილებით განიხილავს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კონკრეტულ შემთხვევებს. გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ივანე სურგულაძის შეფასებით, „ექვთიმეს რომაულ-ბერძნული სამართლის იდეები, ინსტიტუტები გადმოცემული აქვს ვრცლად, კომენტარებით, საკუთარი მაგალითების მომწველიებით. აქედან ჩანს, რომ ექვთიმეს ძეგლის მოწინავე იდეები ბრალის შესახებ გაუზიარებია და ის ქართული სინამდვილისათვის მიუსადაგებია. სამართლებრივი ინსტიტუტის შესატყვისი ტერმინები მოუნახავს. თავისთავად ის ფაქტი, რომ ასეთი ტერმინები იმ პერიოდში ქართულ ენაზე მოიპოვებოდა, მაჩვენებელია მაშინდელი მაღალი სამართლებრივი კულტურისა“ (სურგულაძე, 2001:28).

დასკვნა. დასასრულს, შეგვიძლია დავასკვნათ, ექვთიმე მთაწმინდელის შემოქმედებით და მთარგმნელობით მოღვაწეობას თვალს თუ გადავაკლებთ, აღმოვაჩენთ, რომ მას არ გამორჩენია სასულიერო მწერლობის არც ერთი დარგი, საკუთრივ, 1. ბიბლიოლოგია; 2. აპოკრიფები, 3. ეგზეგეტიკა, 4. დოგმატიკა და პოლემიკა, 5. ასკეტიკა და მისტიკა, 6. ჰომილეტიკა, 7. ჰაგიოგრაფია, 8. ლიტურგიკა, 9. საეკლესიო (კანონიკური) სამართალი. ბუნებრივია,

არ გამორჩენია საეკლესიო სამართლის წესი და განგება, რომელიც შუა საუკუნეების საეკლესიო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო. ექვთიმესეული კანონმდებლობის რეცეფცია (კლება-მატება), ის წარსულის გაკვეთილია, რომელსაც მუდამ უნდა ვიმეორებდეთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გაბისონია (2012). ლალი გაბისონია. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებები, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“;
- ეფრემ მცირე (2009) ეფრემ მცირის კოლოფონები (ტექსტები) დარეჯან თვალთვაძე „ეფრემ მცირის კოლოფონები“ გამომცემლობა „ნეკერი“;
- თვალთვაძე (2009) დარეჯან თვალთვაძე ეფრემ მცირის კოლოფონები (ტექსტები), გამომცემლობა „ნეკერი“;
- კეკელიძე (1955) კორნელი კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი 3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
- კეკელიძე (1956) კორნელი კეკელიძე. ეტიუდები ტ. I. ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,
- კეკელიძე (1980) კორნელი კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი პირველი. გამომცემლობა „მეცნიერება“;
- სილოგავა (2011) ვალერი სილოგავა. წმინდა გიორგი მთაწმინდელი, წმინდა ეფთვიმე მთაწმინდელის შესახებ. ჟურნალი ლოგოსი, 2011წ. N6;
- სურგულაძე (2001) ივანე სურგულაძე. ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, გამომცემლობა „პირველი სტამბა“;
- ჭელიძე (2011) ედიშერ ჭელიძე. ქართველ ათონელთა ღვაწლი, ჟურნალი „ლოგოსი“, 2011 წ. N6;
- ჯავახიშვილი (1982) ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;
- ჯანაშვილი (1900) მოსე ჯანაშვილი. ქართული მწერლობა X საუკუნემდე, წიგნი 1. ტ.1. ტფილისი. 1900;